კვირა, 21 მაისი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 20 კაპ.

ეშეკავილ მარაბი

№ 21

1917

შინაარსი. დეკლარაცია—**ეშმაკი** პატარა ფელეტონი (წერტილები)—**მორიელი** ჩემი ოჯახი—**კოლო** მოკითხვა—**ალბურიონი.** კიდევ კახეთი—**ეშმაკი** ნაწყვეტები—**ი. ტოფაძე.** სინდისი—**თარ. პოდბიპენტასი.** მარსელიოზა—**რომკოკო.** ფოსტა—**კ.**

კარიკატურები. თავისუფლების გზაზე—**ოსკ. შლინგი.** ბოსფორის პირად—**შ. ქიქოძე.** მეფე—**შ. ქიქოძე.** ბიუროკრატიულ წრეებში—**ოს. შლინგი...**

თავისუფლების გზაზე



რა დაბრკოლებანი უნდა სძლიოს რუსეთის რევოლიუციამ, რომ სამშვიდობოში გავიდეს.

დეკლარაცია ეშმაკისა

ქ. თფილისი. მაისის 21.

ა მ ს ა ნ ა გ ე ბ ო!
მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო!
ა ვ ო ს უ ლ ე ბ ო!
ჩემს ჰარტიაში საეშმაკოთ შემოსულებო!

წუთით არა სთვლემს «დროებითი» ჩვენი მთავრობა,
ვის ჯოჯოხეთმან დანაკისრა წესთა მეარობა.
უკვე დაწესდა ეველა დარგის კ ო მ ი ს ა რ ე ბ ი,
(მასში შედიან მოლექსენი და მხატვარები!)
დაარსდა «საბჭო რჩეულ მგოსანთ დეპუტატების»
(ლექსნი ჩვენს ჟურნალს აწ უზომოთ შეემატების!)
დაარსდა «საბჭო დეპუტატთა ეშმაკ მხატვრების»
(კარიკატურა აწ ჩვენ ადარ მოგვენატრების!)
დაარსდა «საბჭო დეპუტატთა ჰროზის მწერალთა»
(ჩვენთან სურთ მათაც დაიბერტეონ უსვების კალთა!)
ვსსნით «ბ ი უ რ ო ე ბ ს»
და ვაარსებთ
«შ რ ო მ ი ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ს»
(საერთო ძალით რომ ვუწამლოთ თქვენს გასაჭირებს!)
სარაიონო და საუბნო «კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი»
გვაქვს საჭიროზე ასჯერ უფრო წანამეტები.
უმთავრეს საგანს
ჩვენის თქვენზე მზრუნველობისა,
შეადგენს: გ ა ნ ს ჯ ა
ბატონ მ ა რ ს ი ს სულელობისა.
განზრახული გვაქვს მოვიწვიოთ
«კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა»
(დამფუძნებელი კრების ექმნეს კომპეტენცია!)
მას ეეალება ჰირველ ეოვლის
«ო მ ი და ზ ა ვ ი»

(ერთობ მძიმეა, მეგობრებო, ეგ საკითხავი!)
ჩვენ ანგელოზებს საპატიოს ვუდგენთ პირობებს
და თუ ვარეოფენ, ჩვენი ჯარი კვალად იომებს,
მაგრამ ჩვენ ვებრძვით, ვისაც შესწევს ბრძოლის უნარი,
და არა იმათ, ვინც ბრძოლაში მონადუნარი
ბედმა გასწირა და დაეცა ბრძოლის ველზედა,
ან შეპურობილი სძევს რწეილეთში სარეცელზედა,
ჩვენს, ჯოჯოხეთის ძლევა-მოსილ მებრძოლ პარტიას
ვერვინ შესწამებს უძრაობას და აპატიას.
აბა ვინ იტყვის: მხდალიაო სპა ეშმაკისა?
შემირცხვეს ბაგე (თუ არსებობს) მთქმელი მაგისა!)

მაგრამ ჩვენ არ გვსურს
ა ნ ე ქ ს ი ა,
კ ო ნ ტ რ ი ბ უ ც ი ა
(კმაეოფილი ვართ ბედსა ჩვენთვის რაც მოუცია!)
თქვენი მათრახი, მეგობრებო, რაც უნდა მოხდეს,
პირქვე დაცემულ მტერთა ჩვენთა არ უნდა მოხვდეს.
განა დაცემულს საგალალოდ ის არ ეეოფა,
რომ შერცხვენილი თავი არსად გამოეეოფა?

ე რ ო ვ ნ უ ლ კითხვის
უურადღებას და სიმპატიას
სახელმძღვანელოთ დავაკისრებთ ჩვენსა პარტიას.
«თ ვ ი თ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ი ს»
ნებას ვამლევეთ ჩვენ ეროვნებას
(ისე მოეწეონ, როგორც სურდეს მათ გემოვნებას!)
ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა გსურთ საერთო,
თუ კ ა ნ ტ ო ნ ე ბ ი,
მოდით, მიირთვით, დღეს მეფე სართ და ბატონები.
«კ ო ა ლ ი ც ი უ რ ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს»
არა ვეოფთ ვარსა,
თუ ანგელოზნი ინებებენ, მოგვცემენ მსარსა.
(რა ვუეოთ მერე ჩვენი ქვეენის ბურჟუაზია
თუ აჯანეების საქმეებში ცოტა ნაზია?)
მთავარ ბორკილათ წესთა ახალთ დაარსებისა,

ჩვენ მიგვაჩნია მძიმე კითხვა
ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი ს ა.
და, აი ამა მოსაზრებით, იმედით, რწმენით
«საჯოჯოხეთო ს ა შ ი ნ ა ო
ს ე ს ხ ი გ ვ ხ ს ნ ი თ».
ყოველი წევრი თავისუფალ ჯოჯოხეთისა
თვით უნდა იყოს გამჭედელი თვისის ბედისა.
ვალდებულია ჩვენი სესხის ო ბ ლ ი გ ა ც ი ა
მან შეიძინოს და მით ისსნას მთელი ნაცია.
განსაკუთრებულს მისწრაფებას
და სიყვარულსა
ჩვენ მივაკუთნებთ რ წ მ ე ნ ი ს საკითხს
და ა გ რ ა რ უ ლ ს ა.
სხვათა მამულებს დაეუფლეთ თავით, ფეხებით,
(მხოლოდ ამას გთხოვთ: ჩემს ქონებას ნუ შეეხებით!)

ეშმაკ.

პატარა ფელეტონი

წერტილები.

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ქ. პეტროგრადში დაარსდა ორი საზოგადოება:

ა) **შავი წერტილი** და
ბ) **წითელი წერტილი**.

ერთი შეხედვით წერტილი ყოვლად უვნებელი გრამატიკული დაწესებულებაა, რომელიც საქმეს უჭირვებს საბრალო მესამე კლასის მოსწავლეს და ისიც მხოლოდ „დიკტანტის“ წერის დროს. სხვა, გარეშე ამისა, არავითარ ზიანს ადამიანი წერტილიდან თითქმის არ უნდა ნოელოდეს. მეტსაც ვიტყვი! გეომეტრიული წერტილი თავისთავად არც კი არსებობს, იმისი მხოლოდ წარმოდგენა შეგვიძლია.

მიუხედავათ ამისა რევოლიუციის დაწყებისათანავე ქ. პეტროგრადში დაარსდა „შავი წერტილის“ ორგანიზაცია. მაგრამ დღეს ყოველი ვე „შავის“ საწინააღმდეგოთ არსდება „წითელი“, ამიტომ „შავ წერტილს“ მყისვე გვერდით ამოეტუზა „წითელი წერტილი“.

დღევანდელი ჩემი წერილის მიზანია, გავარკვიო პატივცემულ მკითხველთა წინაშე პროგრამა მინიმუმი აღნიშნულ „წერტილ-პარტიებისა“.

ყველა პარტიას მხოლოდ მისი თეორიული პროგრამითა და პრაქტიკიული ტაქტიკით გაიცნობ კაცი, მაგრამ ამ მხრით ორივე ზემოაღნიშნული ორგანიზაცია, ჩვენდა საბედნიეროთ, მოიკოჭლებს. მათ ჯერ-ჯერობით არ გააჩნიათ დამუშავებული პროგრამები და არსებითად არც არაფერი ცხოვრებაში გაუკეთებიათ. ჩვენ ხელთა გვაქვს მხოლოდ მათი დეკლარაციები და აი ამ დეკლარაციათა მიხედვით ცოტათ თუ ბევრათ შეგვიძლია ალღო ავართვათ მათ ავკარგიანობას.

დეკლარაცია „შავი წერტილისა“

ნებითა ღვთისათა და კურთხევითა რეაქციისათა იმ მკვიდრსა და შეურყეველ საფუძველზე, რომელსა ეწოდების „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“, დაარსდა უძლეველი ორგანიზაცია „შავი წერტილისა“. კავშირსა მას მფარველობს უკვდავი სულიოასპუტინისა, სტოლიპინისა და წმიდათა მინისტრთა ჩვენთა პეტრე პავლოელთა. ძალა ჩვენი განუზომელ არს და რიცხვი უმრავლეს ვარსკვლავთა ცისათა.

სიმხნევე და სიმამაცე „შავ წერტილელთა“ სდგას უმაღლეს კაცობრიობის ნახულთა ყოველთა და უანგარობა მათი უმაღლეს თავგანწირულთა მინისტრთა ნიკოლოზ მეორისათა.

მიზანი არსებობისა ჩვენისა არს მარტივი და მასთან დიადი, ვითარცა საშუალება მის განხორციელებისა. უშიშარ რაინდთ „შავი წერტილისა“ ევალებათ განწმენდა რუსეთისა მავნე წევრთაგან და აღდგენა იმისი, რაც ანაზდეულად დაემხო თებერვლის ბოლო რიცხვებში. პირველ ყოვლისა „შავი წერტილი“ მიზანში იღებს რევოლიუციის ხელმძღვანელთ და მოკრძალებით აცნობებს მათ, რომ ამქვეყნიური არსებობა მათი წინასწარ განსაზღვრულია და თითეულ ბელადს რევოლიუციისას აქვს ნება ცხოვრებისა იმ დრომდე, რომელიც ნაჩვენებია „შავი წერტილის“ კავშირის კალენდარში.

ესე ცნობა უკვე გაეგზავნა ბ-ნთ: კერენსკის, ჩხეიძეს, წერეთელს, სკობელევს და სხვ., რომელნიც სამართლიანად უნდა ელოდენ ჩვენი დადგენილების სისრულეში მოყვანას.

„შავი წერტილი“.

დეკლარაცია „წითელი წერტილისა“.

ნებითა ხალხისათა და მფარველობითა მუშათა და სალდათთა საბჭოებისათა ქ. პეტროგრადში დაარსდა ორგანიზაცია „წითელი წერტილისა“. ორგანიზაცია არ არის პარტიული, არამედ პრაქტიკული. მიზანი მისი რთული და მნიშვნელოვანია, სახელდობრ: გაღრმავება და გაფართოება „შავი წერტილის“ დაწყებულებათა.

ამგვარათ, ორგანიზაცია „წითელი წერტილისა“ აცხადებს:

ა) ყოველი აქტი „შავი წერტილისა“ ჩვენ შორის მოიპოებს ერთგულ მიმდევარს და მათი ძახილი გამოძახილს.

ბ) თითეულ აღკვეთილ რევოლიუციონერს საიქიოს გზაზე მცველად გავაყოლებთ ათ რეაქციონერს.

გ) მუშათა და სალდათთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლოზ ჩხეიძის ამალაში უკვე ჩანიშნულია ადიუტანტებათ ნიკოლოზ რომანოვი დაბალი და ნიკოლოზ რომანოვი მაღალი.

დ) „წითელი წერტილის“ ორგინიზაცია ეცდება თითეულ ბელადს რევოლიუციისას მცველად გაეყოლოს იმავე სახელობის რეაქციონერი, მაგრამ თუ გარემოებამ მოითხოვა ეს მუხლი შეიძლება შესწორებულ იქნას.

პატივისცემით მთავარი კომიტეტი:

„წითელი წერტილისა“.

ამგვარათ წერტილთა შორის სრული შეთანხმება და საქმის განაწილება მოხდა: ერთი იწყებს, მეორე აფართოებს და აღრმავებს პირველის დაწყებულებას. ჯერჯერობით ორივე წერტილი მხოლოდ თეორიულ მსჯელობაში არიან და მათი არსებობა ასე ვსთქვათ გეომეტრიულია.

მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ისინი შემდეგშიაც ასეთ მდგომარეობაში დარჩებიან.

მორიელი.

ჩემი ოჯახი

პარტიული შემადგენლობა ჩემი ოჯახისა სრულიად მარტივია.

უფროსი ვაჟი, არჩილი, მასწავლებელი მეცხრე სავაჟო გიმნაზიისა, თითქმის მეათე წელიწადია კადეტათ ითვლება და, თუ არ ვცდები, პარტიაშიაც საპატიო ადგილი უჭირავს.

იმის მომდევნო ნინა, ვიდრე ქმარს გაჰყვებოდა „ავტონომისტკა“ იყო, ხოლო შემდეგ ქმარმა აიყოლია და ესერკა შეიქმნა. ახლა კი, როცა დაქვრივებული ოჯახში დამიბრუნდა, გატაცებული „ნაციონალ-დემოკრატკაა“.

მეორე კურსის სტუდენტი, შაქრო, ჯერ კიდევ სათავად-აზნაურო გიმნაზიიდან ატარებდა სოციალისტ-ფედერალისტის სახელს (ააშენოს ღმერთმა მათი ოჯახი, სტიპენდიაც ამისთვის დაუნიშნეს) და მას შემდეგ განუყრელად იმავ გზას ადგია.

გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე, ნიკა, აშკარა სოციალისტ-რევოლიუციონერია, დღევანდელ პირობებშიაც ტერორის მომხრეა და როცა ლათინურის მასწავლებელს კალოშში წყალი ჩაუსხეს, იგი აქტიურ როლს თამაშობდა.

ჩემი ობოლი ძმისწული, ლადო, პარტიულ სოციალ-დემოკრატათ ითვლება, ხოლო იმისი დაი ელენე მხოლოდ მოისოციალდემოკრატკებს.

პატარა, 4 წლის დათოს ყველა ანარქისტს

ეძახის და ეჭვს გარეშეა სამართლიანადაც ეძახიან.

დასასრულ, მე და ჩემი მეუღლე მარიამი აშკარა ხულიგანებათ ვართ აღიარებული.

—

შეერთებული სხდომა პარტიებისა, ანუ კონფერენცია, უფრო სრული მხოლოდ სადილის დროს არის. დილით და საღამოთი ჩაიზე კრება არასოდეს სრული არ არის, ვინაიდან სხვა და სხვა დროს მიდიან და ბრუნდებიან სახლში პარტიის წარმომადგენელნი.

უმეტეს შემთხვევაში კამათს ნინა იწყებს და თუ მეხსიერება არა მღალატობს თითქმის ყოველთვის ჩემგან.

— უბრალო რუბაშკა სამ თუმანზე მეტი ჯდება და ეს ვაჟბატონები დაიწყებენ ხალხს სიმდიდრე არა სჭირია, ერი რაც ..

— მამილო მოიტა ფული... მოიტა ფული, ფული მინა... მყისვე ააყოლებს ხოლმე ფულის გაგონებაზე ანარქისტი დათო. იმან არ იცის: არც სტუმარი არც სხვა რამ დაბრკოლება, როცა ფულს მოითხოვს იძულებული ვარ დავაკმაყოფილო, უკეთუ მთელი დღის მოსვენება რათმე მიღირს.

— აბა რომელი სულელი იტყვის, შვილო, ფული და შეძლება საჭირო არ არისო. შენ შნავს ხოლმე მარიამი.

— არიან, ლედი ასეთებიც,—დასძენს ნიკა,— აი თუნდა ანარქისტები...

— მამილო მაიტა ფული, ფული, ფული... კვლავ ბუზღუნობს ანარქისტი დათო. ის კამათის გარეშე სდგას, ვინაიდან ყველაზე მეტათ პრაქტიკული კაცია. იმან ჩ ნებულათ იცის, რომ ადრე იქნება თუ გვიან, რომელიმე პარტიის წევრი უთუოდ გაიკრავს ჯიბეს ხელს, რომ მის აბეზარ ზმუილს ბოლო მოუღოს.

მართლაც ვინ უნდა იყოს სიმდიდრისა და ქონების წინააღმდეგი, მაგრამ არიან ასეთებიც,— წარმოსთქვა ლადომ—ესენი, ჩემო მარიამ, ბურჟუები, ანუ აი ჩვენი ნინას პარტიის ხალხნი არიან. მაგრამ ისინი მხოლოდ სხვისი გამდიდრების წინააღმდეგი არიან.

კამათში ლადოს ჩარევა, ეს კითხვის გართულებისა და კამათის გამწვავების ხანაა.

არჩილი შესაფერი სიდინჯითა და თავდაჭერილობით არკვევს საკითხს ეროვნული ბურჟუაზიის აღორძინების საჭიროებისას და არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო, თუ საქართველოში სამი მილიონი ქართველი მილიონერი იქნება.

გატაცებული შაქრო აღფრთოვანებით ლაპარაკობს და ამტკიცებს, რომ უმთავრესი საქმე ეს ეროვნული თვითშეგნებაა ხალხისა და არა ქონებრივი სიძლიერე. მას დასამტკიცებელ საბუთად მოჰყავს „მეზობელი“ ერი.

მოურჯულებელი ანარქისტი დათო კვლავ დაჟინებით განაგრძობს ფულის მოთხოვნას.

ნიკას შეხედულობით შაქრო და მთელი მისი პარტიაც ბურჟუები არიან სოციალისტის ქურქში გახვეულნი. ის ამტკიცებს, რომ უმთავრესი საკითხი არა ფულის საკითხია, არამედ მიწის. მიწის კი თავად-აზნაურობა ჰფლობს და თავად-აზნაურობა კი ნინას პარტიაშია მოკალათებული.

აქ კამათი საზოგადო საკითხებიდან პირადულ ნიადაგზე გადადის და იწვევს არა სასურველ ექსცესებს.

— გეყოფათ, შვილებო, ამდენი ლაპარაკი და ერთმანეთის ჭამა. ის გირჩევნიათ სადილის დროს სადილი სჭამოთ და მოისვენოთ. ყველანი ერთნი ხართ, თქვენს თავსა და საქმეს მიხედოთ ის გირჩევნიათ.

ამ სიტყვების საპასუხოთ ქ-ნ მარიამს მისი პარტიის (ხულიგანური) მუხლებს მოაგონებენ და სთხოვენ, თუ საზოგადოთ საჭირო არ არის სხვის საქმეში ჩარევა, თვით მან დაიკოს ეს მუხლი და ნუ ერევა იქ, სადაც არაფერი გაეგება.

ამ გაცხარებული კამათის დროს განუწყვეტლივ გაისმის ერთი მტკიცე მოთხოვნა ანარქისტი დათოსი, რომელსაც მოთმინებიდან გამოსული ლადო აძლევს შაურიან ქალალდის ფულს და ისიც დუქნისკენ მირბის.

უნდა გამოვტყდე, რომ მე პარტიებში ვერა ვარ მაინცა და მაინც რიგიანათ გარკვეული. ახლა, როდესაც სამოცდამეთორმეტე წელში ჩავდექი, დროც აღარ არის სხვა და სხვა პარტიულ პროგრამებს ჩივუჯდე და მათი ავკარგი ვარჩიო. მართალია ხალხურ სიბრძნეს უთქვამს: „სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდებაო“, მაგრამ როცა ეს ანდაზა მოიგონეს მაშინ არც პარტიები იყო და ცხადია იგი პროგრამების სწავლას არ შეეხება.

მე ხშირათ მსმენია ჩემი ხნისა და წრის ხალ-

ხის წუხილი ჩვენში პარტიათა სიმრავლის და მათ შორის გამწვავებულ დამოკიდებულების შესახებ. მათი აზრით, საქართველოში რო ერთი პარტია იყოს, საქმე გაცილებით უკეთ წავიდოდა. მე ეგ ასე არა მგონია. ჩემის აზრით ზოგიერთ შემთხვევაში მრავალ-პარტიობა უფრო სასარგებლოა, განსაკუთრებით კი სასურსათო საკითხში.

განვმარტავ ჩემს აზრს. ბატონებო! ჩემს ოჯახში ერთ სუფრაზე ცხრა სული სადილობს. ახლანდელ დროში ცხრა კაცის ხარჯი ძველი დროის ქორწილის ხარჯს უდრის. ჩემთვის პირდაპირ წარმოუდგენელია ისეთი გარემოება, როცა მთელი ოჯახი წყნარათ ეჯდეს სუფრას და სადილის დროს მხოლოდ ჭამაზე ფიქრობდეს. ეს ასე იქნებოდა თუ ოჯახში პარტიული ერთგვარობა იყოს, მაგრამ საბედნიეროთ ეს ასე არ არის. სადილის დასაწყისშივე ატეხილი კამათი დიდათ უწყობს ხელს თანამედროვე მდგომარეობას და იქ, სადაც ცხრა გირვანქა პური იქნებოდა საჭირო, ოთხზე გადავდივართ.

სხვა რომ არა იყოს რა, ესეც ისეთი საბუთია, რომლის მეოხებით შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ მრავალ პარტიობას.

კოლო.

მოკითხვა.

უწინარეს ყოვლისა მოგიკითხავ ეშმაკო!
რაღაც გულით მომინდა კალამს ხელი შევახო;
თუმცა ეხლა მელანი და ქაღალდი ძვირია,
მაგრამ მაინც არ ძალმიძს დავიდუმო პირია...
აბა ასეთ ხანაში, როს ცენზორი არ სუფევს,
როცა მათ კაბინეტში კალმები უძრავათ ძევს;
წითელ მელნის შუშები მტვერით გაოსებულა,
ძველი „უსტავ-ზაკონნი“ სულ მთლათ მივიწყებულა,
როგორ უნდა დავჩუმდე, შევაწებო ბაგენი?
განა ცოტა დუმილში განვლე მე ჩემი დღენი?!
არა, ეხლა მეცა მსურს აღვიმაღლო ტონია,
მინდა: ხშირათ დავსწერო პაწა ფელეტონია*),
ზოგ წვრილმანებს შევეხო, რაც კი არა ბრძნულია,
მსხვილ-მსხვილ თემებს, ძმობილო, არა ვარ ჩვეულია!
დეე რთულსა საკითხებს სჭრიდენ დიდი მწერლები,
ვფიცავ ალლახს,
როდეს მათ არ შევეცილები.
მე მაქვს ჩემი მიზანი, ჩემი გზა და ფონია,
(ამ სიტყვისთვის, ეშმაკო, არ გამკიცხავ, გონია**)
ვისაც რა ეხერხება, მითი დაკმაყოფილდეს,
ეხლა ისეთი დროა—ყველანი უნდა ბჭობდეს.
მაგრამ ზოგჯერ თქმასაცა დაედების საზღვარი,
თუ საქმისთვის დუმილი გამოსადეგი არი.
მაგალითათ, ბევრს ბჭობენ ჩვენში ზოგი მწერლები,
(აი, თუნდა ავიღოთ „სახალხო-ზვირთელები“).
რას ამბობენ, რა უნდათ, რისთვის სტკივათ გულია!
ეს ყველასთვის ცხადია, კარგათ გაგებულია.
„საქ რთველოც“ ბანს აძლევს ამ „საქვეყნო“ გმირებსა,
(აბა, ქართველი ქართველს, როგორ გააწბილებსა).
ჰო-და უხმატკბილებენ, საქმეს კი არ ჩივიან,
სიტყვებს აბრახუნებენ, რაც მოხვდებათ ყვირიან.
ჩვენ რომ მათ დავუჯეროთ—უნდა დავყოთ ძალები,
ჩვენივ ხელით გავსჭედოთ ჩვენივე ბორკილები!
რეები არ გაისმის, ვინ უწყს, რას არ ამბობენ,
ახალ ახალ „პროგრამებს“ აცხობენ და აცხობენ!
თუმცა არავინ უსმენს, ტყვილა ოფლათ დნებიან,
ქარის წისქვილთან ბრძოლით ძალზე იქანცებიან!
ჩვენ მათაც ნუ მოვალხენთ, გაუქნიოთ „მათრახი“,
იმათ აზრთა სავანეს შემოვავლოთ ჭახრაკი,
რომ შეგუბდეს ერთ ალაგს, ისე არ გაიფანტოს,
ისტორიის არქივსა შეეძინოს, ემატოს.

ალბურიონ.

კიდევ კანეთი

(დასასრული, იხ. № 20).

წინა წერილში დამავიწყდა მეთქვა, რომ ქალ. სილნაღს გვერდით უზარმაზარი ციხე აქვს. ისტორიული ცნობები ამ ციხის შესახებ მე ხელთ ვერ ვიგდე, ეტყობა მხოლოდ რომ ის ძველის-ძველი ნაშენია. ციხეს ორი კარები აქვს: „მომხიბლავი“

---

*) უნდა ვსთქვათ, რომ განზრახვა
ფრიად მოსაწონია! **ეშმაკი.**

**) ბირიქით, ეს თქმულებაც
ერთობ მოსაწონია!
ეშმაკი.

ბოსფორის პირად



მილიუკოვი და გუჩკოვი სტამბოლის ანექსიის შემდეგ იღებენ დამორჩილებულ თურქთაგან კონტრიბუციას.

მეფე



1.

კარისკაცი. მეფევ! ქალაქში შიმშილობაა!
ალარც პური აქვთ, ალარც მჭადები.
მეფე. მერე რა უშავს?.. პური რათ უნდათ,
დაჯდენ და სჭამონ შოკოლადები.

2.

კარისკაცი. მეფევ! დუმაში მღელვარებაა...
ხალხი იმათგან მოითხოვს შველას.
მეფე. დღესვე გარეკეთ მეტიჩარები!
თითო პანღური ამოსცხეთ ყველას!

3.

კარისკაცი. მეფევ! ქუჩებში ბრძოლა დაიწყო,
შეიარაღდენ ურჩი მონები.
მეფე. მყისვე აცნობეთ პროტოპოპოვსა:
მზათ იყოლიოს „ფარაონები“.

4.

კარისკაცი. მეფევ! მხედრობაც მუშებს მიემხრო,
მინისტრი ყველა დაჭერილია.
მეფე. მოუხმეთ ჩემსა ერთგულ გვარდიას.
ჰა ტელეგრამა, ჰა წერილია.

5.

კარისკაცი. მეფევ! გვარდიაც უკვე გადადგა,
და დროშას წითელს ის აფრიალებს.
მეფე. მაშ მო, გავუხსნათ ბრძოლისა პირი
ჩემს მოკავშირე გერმანელთ ძალებს.

6.

კარისკაცი. ბ-ნო ნიკო! მადლიერ ხალხმა
თქვენ მეფობიდან გადაგაყენა.
ეშმაკი. მეტის სიამით მეფეს თვალებზე
ცრემლი მოადგა. დაება ენა.

და „გულსაკლავი“. რუსულათ ამას უფრო პოეტურათ ამბობენ: ворота „очарованія“ и „разочарованія“. პირველი გადასცქერის ალაზნის ველს, ხოლო მეორე ქ. სიღნაღს.

„მომხიბლავი“ კარებ-დან გზა ხვეული ეშვება დაბლა ვიდრე სოფელ ანაგამდე, სადაც ჩვენმა ექსპედიციამ მცირედ შეისვენა მათე ახმეტელაშვილის ეზოში. აღნიშნულ ახმეტელა'შვილის ოჯახზე ქიზიყში ერთი გადაჭრილი შეხედულებისა არიან: „იმათსა ქათმებიც კი ცოციალ-დემოკრატები არიანო“.

ანაგიდან ჩვენი ეტლი თელავისკენ დაიძრა და უკვე საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, ჩვენ თელავში მივედით. აკაკი ჩხენკელის შესახვედრათ (ჩემზე აღარ ვლაპარაკობ) შეკრებილი ხალხი თუმცა დაშლილიყო, მაგრამ მაინც მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიმართა და მრავალი სიტყვა ითქვა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე დეპ. ჩხენკელმა და ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა.

უნდა სიმართლე ითქვას მე ვერ დავრჩი სრულად ნასიამოვნები, ვინაიდან ჩემს მეგობარს გრ. ბურჭულაძეს ვიღაც თავხურიანი ქალები უსამართლოდ მოექცენ და სიტყვა შეაწყვეტიეს.

სულიერი განწყობილება ქ. თელავში ჩინებულია, ვინაიდან აქ ღვინო სრულიადაც არ არის აკრძალული. ცხარე კამათი გამოიწვია ქალაქის ბანკში გამართულ კრებაზე ორი იუნკრის ისტორიამ. კრების სამ მეოთხედს დედათა სქესი შეადგენდა და ჩემის აზრით უმთავრესი მიზეზი კრების ცხოველმყოფლობისა სწორეთ ეს იყო.

საჭიროა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ როგორც სიღნახში, აგრეთვე თელავშიც დედათა სქესის უმ- ავლესობა ნაციონალურ პარტიებში არიან დარაზმული. „ნაციონალ დემოკრატების“ სასახელოთ უნდა აღვნიშნო, რომ მომღერალთა გუნდი მათ მიერ შეკავშირებული სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს ქართველ მომღერალთა გუნდებისათვის. განსაკუთრებით აღტაცებაში მოიყვანა მათ მიერ კახურ მრავალ-ჟამიერის შესრულებამ და მე რომ თელავში ვცხოვრობდე მარტო ამისთვის ჩავეწერებოდი აღნიშნულ პარტიაში.

ხუთ მაისს დილით მე (აკაკი ჩხენკელი თავისთავად იგულისხმება) სოფელ ყვარელისაკენ გავემგზავრე. მშვენიერი გზა და მშვენიერი სამგზავრო დღე დარჩა. სოფლის საზღვრებზე შემოგვეგება ცხენოსან მილიციონერთა რაზმი წითელი დროშით.

სოფელში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და სოფლის მოედანზე გაიმართა მიტინგი. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ დეპ. ჩხენკელმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა.

დეპუტატმა ინახულა ილია ჭავჭავაძისეული მამული, რომელიც ახლა ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნის. მამული ისევეა მოვლილი, როგორც სხვა ქონება აღნიშნული საზოგადოებისა.

ყვარელიდან დაბრუნებისას დეპ. ჩხენკელმა ინახულა ერეკლეს გალავანი და სასახლე ქალაქ თელავში. დაესწრო მუშათა დეპუტატების საბჭოს კრებას და საღამოს ოთხ საათზე გომბორის გზით დაიძრა თფილისისაკენ.

განსაკუთრებულს სილამაზეს წარმოადგენს აღნიშნული გზა თითქმის მთელს სიგრძეზე. ჩვენ მოუთმენელად მოველოდით „ფორტოპიანოზე“ მოღწევას, ვინაიდან წინასწარ გაფრთხილებული ვიყავით მის შესახებ. მართლაც ფორტოპიანო ჩვენ მოშლილი დაგვხვდა და შიგ ეტლიც ჩაგვივარდა, მაგრამ მუშების დახმარებით ის ამოვიღეთ კლავიშებიდან და დავეშვით თავთავქვე სამგორის ველისაკენ.

საღამოს ცხრა საათზე ჩვენ უკვე თფილისში ვიყავით.

ეშმაკი.

P. S. თელაველთა საგულისხმოდ უნდა ვსთქვა, რომ მე არც იქაური მოღვაწენი დამიტოვებია უყურადღებოთ და თუ მათი სურათი ამ ნომერში ვერ იბეჭდება ეს სხვა მიზეზს უნდა მიეწეროს, ვიდრე მათდამი ჩემს უყურადღებობას.

—კი.

ნაწყვეტები.

აღარ მცალია, ბებია ჩემო,
ნუღა მაგზავნი ვარდის საკრეფათ,
მებრძოლ გმირებსა სიმღერებს უთხზავ,
დღეს მოძმეებსა ის ენატრებათ.
შე ბებრუხუნა რომ მიმტკიცებდი:
ოქროს კერპები ჩვენთვის თავს სდებდენ!

მე კი შევხედე, რომ მოძმეთა ძვლებს
ოქროს ფულებზე ახურდავებდენ.

* * *

ნუ მეტყვით ისეთს ამბებს, არაკებს,
ნურც წამიკითხავთ ისეთს წიგნებს რო
სევდის ალმური გულში აღმენთოს
და სიმწუხარის ცრემლი დავღვარო.
არა, მე მინდა მწუხრის სივრცეშიც
გმირის სიმღერამ აღანთოს გული;
და მხიარულათ მეც გვერდში უდგე
სულით ძლიერი, განახლებული.

* * *

გუშინ წერილი მომწერა ლეომ:
—ოდეს ბრძოლის ველს ჰბანდა სისხლის
ტბა,
მეც დამაჩოქა დუმდუმის ტყვიამ
და ამაგლიჯა ნახევარი ყბა.
ეგ, ნემეზიდავ, შენ განიკითხე
ოდეს მოართვან ომის ღმერთს წინა:
მარტომ მიირთვა ლეოს ყბის ხორცი,
თუ მასთან ერთად ბევრმა ილხინა?!

ირ. ტოფაძე.

სინდისი

ვ. მ. დოროშევიჩისა.

ეს ჩემო სულიკო, მოხდა ძველათ, უხსოვარ დროს, როცა ჯერ კიდევ მატიანე არ იწერებოდა.

მართალია, იმ დროშიაც ხშირათ შვებოდენ ადამიანები სისულელეს,—მაგრამ ამ სისულელეს მაშინ არავინ სწერდა. და ეგებ სწორეთ ამისთვისაა ჩვენი წინაპრები ბრძენებათ რომ წარმოგვიდგენია.

აი სწორეთ იმ უხსოვარ დროს იშვა ქვეყნათ სინდისი.

დაიბადა ის ჩუმსა და მშვიდ ღამეში, როცა ყველაფერი ფიქრის მორევში სცურავს.

ჩაფიქრებულია მთვარის სხივებზე ვერცხლის ფრათ მოლაპლაპე მდინარე, ჩაფიქრებულია ლერწამი, ჩაფიქრებულია ბალახი, ჩაფიქრებულია ცა..

სრული სიმშვიდეა, სრული სიწყნარე.

დღისით ყველაფერი ხმაუროს, ყველაფერი მოძრაობს, სცოცხლობს, ღამით კი ყველაფერი სდუმს, ყველაფერი ფიქრს მისცემია.

მცენარეები ღამით იგონებენ ფერად ყვავილებს, ბულბულები სთხზავენ ტკბილ ჰანგებს, ვარსკვლავები კი—მომავალს.

აი ასეთ ღამეში, როცა ყველაფერი ფიქრობს,—იშვა სინდისი.

ის დაიბადა დიდრონი ღრმა თვალებით, როგორც ესა აქვს ყველა ღამის ფრინველს. მთვარის შუქმა მკრთალად შეღება მისი სახე. ვარსკვლავმა კი ცეცხლი დანთო მის თვალებში.

და იწყო სინდისმა ქვეყნათ სიარული.

სცხოვრობდა ის არც ავად, არც თუ კარგათ.

სცხოვრობდა როგორც ჭოტი.

დღისით მას არავინ ელაპარაკებოდა. აბა ვის ეცალა მისთვის.

იქ სახლს აშენებდენ, იქ არხები გაჰყავდათ.

თუ გაბედავდა და მივიდოდა ვისმესთან, ეს უკანასკნელი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ თავიდან მოეშორებია იგი.

— განა ვერა ხედავ, რა ხდება გარშემო,—უყვიროდა ის სინდისს,—აი აქ ქვებს ეზიდებიან, აქ კუნძებს მოაგორებენ, აქეთ ცხენები მოდიან. დიდი სიფრთხილე გჭირია, რომ თვით არ გაგჭყლიტონ და საიქიოსკენ არ გაგისტუმრონ! რა დროს ლაპარაკია!

სამაგიეროთ ღამით ის უფრო თავისუფლათ დადიოდა.

ის შედიოდა მდიდართა სასახლეებში და ღატაკთა ქოხმახებში.

ფრთხილათ შეეხებოდა მძინარეს. მძინარე იღვიძებდა. დაინახავდა ღამის სიბნელეში სინდისის ანთებულ თვალებს და ეკითხებოდა:

— რა გინდა?

— დღეს შენ რას შვრებოდი?—ჩუმად ეკითხებოდა სინდისი.

— მე რას ვშვრებოდი? მგონი არაფერი ისეთი ჩამიდენია-რა.

— აბა დაფიქრდი..

— მოიცა... ჰო... ეგებ...

სინდისი სტოვებდა მას და მიდიოდა მეორესთან, გამოღვიძებული ადამიანი კი ვერ იძინებდა, დილამდის სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რა აკეთა დღისით. ბევრი რამ, რაც დღის ღრიანცელში არ ისმოდა,—ისმოდა ჩაფიქრებულ ღამის სიმშვიდეში.

იშვიათი იყო ადამიანი, რომელსაც მოსვენებით დასძინოდა.

ყველა უძილობამ შეიპყრო.

მდიდრებს ვერ უშველეს ვერც ექიმებმა, ვერც ბანგებმა.

წარმოიდგინეთ თვით ბრძენ ლი-ხან-ძუსაც კი ვერ მოეძებნა საშუალება უძილობის მოსაშორებლათ.

ლი-ხან-ძუს კი ყველაზე მეტი ფული, ყველაზე მეტი ადგილ-მამული და ყველაზე მეტი სახლები ჰქონდა.

ამიტომაც ხალხი ასე ფიქრობდა:

— „რადგანაც მას ყველაზე მეტი სიმდიდრე აქვს,—ალბათ ჭკუაც ყველაზე მეტი ექნებაო“.

და ეძახდენ მას ბრძენს.

მაგრამ თვით უბრძნესი ლი-ხან-ძუც იმავე ავადმყოფობით ყველაზე მეტათ იტანჯებოდა და არც იცოდა რა ექნა.

ლი-ხან-ძუს თავისი ცხოვრება ისე მოეწყო, თავისი სიბრძნის წყალობით, ისე გაება ქსელები, რომ ვინც კი მის ახლო ცხოვრობდა ყველა მისი მოვალე გამხდარიყო და მთელ თავიანთ ნაშრომს მისი ვალის გასტუმრებას ანდომებდენ.

როგორც ბრძენმა, მან კარგათ იცოდა ამა თუ იმ შემთხვევისათვის შესაფერი ზომების მიღება.

აი მაგალითად, როცა რომელიმე მოვალე მას რასმეს მოპარავდა, რაიც არც თუ ისე იშვიათად ხდებოდა, ლი-ხან-ძუ ლაზათიანად მიბეგვავდა მას, მიბეგვავდა ისე ბრძნულათ და სამაგალითოდ, რომ მის შემხედვარეს გულშიაც არ გაეტარებია ქურდობის სურვილი.

დღისით ეს მართლაც ბრძნული მოქმედებათ გამოდიოდა, რადგანაც ცემის და მით უმეტეს ლაზათიანი მიბეგვის ყველას ეშინოდა.

მაგრამ ღამე სულ სხვანაირ აზრებს აღუძრავდა თავში ლი-ხან-ძუს.

— რისთვის იპარავს?—ეკითხებოდა ის თავის თავს,—იპარავს იმისთვის, რომ შია, საჭმელი რა აქვს. რისთვის არა აქვს? იმისთვის, რომ დრო არ რჩება თავის საზრდოს დასამუშავებლათ, მისი მთელი დღის შრომა ჩემი ვალების გასტუმრებას უნდება.

ასეთი უცნაური ფიქრებისაგან ჩვენს ლი-ხან-ძუს ხან-და-ხან კიდეც გაეცინებოდა.

— დახე როგორ ყოფილა! გამოდის თითქოს, მე გამქურდეს და დამნაშავეც მე ვარ!..

იცინოდა ლი-ხან-ძუ, მაგრამ ძილი კი მაინც არ ეკარებოდა.

ამ უძილო ღამეებმა ლი-ხან-ძუ ბოლოს იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მან, მიუხედავათ მისი სიბრძნისა, ერთხელ ასე განაცხადა:

— მე ვუბრუნებ ჩემს მოვალეებს, მთელ ფულებს, მიწა-ადგილს და სახლებსო“ მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე ლი-ხან-ძუს ნათესავებმა საშინელი ტირილი და გოდება ატეხეს:

ეს ყველაფერი უძილობის ბრალია! უძილობამ გადარია ბრძენი ადამიანიო.

ექიმებმაც ეს დაამოწმეს.

გავარდა ხმა:

— ყველაფერში სინდისია დამნაშავე! თუ უბრძნესი კაცი ასე შეიშალა ჩვენ რაღა გვეშველებაო“?

ყველა შეკრთა და შეშინდა: მდიდრებიცა და ღარიბებიც.

ყველა წუწუნებდა და ჰგოდებდა:

— მე უძილობით მტანჯავს „ის“!

— მეც!

— მეც!

მდიდრებზე უფრო ღარიბები შეშინდენ:

— ჩვენ ყველაზე ნაკლები ქონება გვაქვს,— ცხადია ჭკუაც ყველაზე ნაკლები გვექნება! რაღა ეშველება ჩვენს პაწაწინა ჭკუებსო?!

მდიდრები კი ასე ამბობდენ:

— ხედავთ როგორ აშინებს „ის“ ღარიბ ხალხს, ჩვენი ვალია სულ რომ არა იყოს რა, ღარიბებს მაინც დავეხმაროთ!

ყველამ სჯა და ფიქრი დაიწყო, შესახებ იმისა, თუ როგორ მოეცილებიათ თავიდან სინდისი, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი გამოიგონეს.

ქალაქ ნანკინში იმ დროს სცხოვრობდა ერთი შესანიშნავი ადამიანი, სახელად ა-პუ-ო. ის ისეთი ბრძენი და ნასწავლი იყო, რომ სწორი არ ყავდა მთელ ჩინეთში.

დიდი რჩევისა და თავის მტვრევის შემდეგ ასე გადასწყვიტეს:

— მოდი რჩევა ვსთხოვოთ ა-პუ-ოს. იმის მეტს არავის შეუძლია ჩვენი დახმარებაო.

აირჩიეს დესპანები, გამოაწყვეს საჩუქრები და თაყვანისცემით წარუდგენ ა-პუ-ოს.

— დაგვიხსენით უძილობისაგან!—შეღაღადებ მას მოციქულებმა.

მოისმინა ა-პუ-ომ მათი გაჭირვება, ჩაფიქრდა.. ბოლოს გაიღიმა და ასე უპასუხა:

— შეიძლება დახმარება! შეიძლება საქმის ისე მოწყობა, რომ მას თქვენთან მოსვლის ნებაც კი არ ჰქონდეს.

ყველამ ყურები სცქვიტა!

ა-პუ-ომ ისევ გაიღიმა. შემდეგ განაგრძო:

— მოდით შევთხზათ კანონები. აბა სად შეუძლია გონება-ბნელ ადამიანს იცოდეს თუ როგორ უნდა მოიქცეს; რაა მისთვის ნება დართული და რა აღკრძალულია. დავსწეროთ კანონები იმის შესახებ, თუ რის გაკეთება შეუძლია ადამიანს და რის არა. მანდარინები კანონებს ზეპირათ დაისწავლიან დანარჩენები კი საჭიროების დროს დაეკითხებიან მათ; აი მაშინ თუ გინდა მოვიდეს „ის“ და დაგეკითხოს: „რას აკეთებდი დღესო?“—მიუგეთ: „ვაკეთებდი მას, რაც საჭიროა, რაც კანონში გვიწერია!“ და ყველა ტკბილ ძილს მიეცემა. რასაკვირველია სხვები ვალდებული იქნებიან მანდარინებს რჩევისათვის ფული აძლიონ. აბა ისინი ტყვილათ ხომ არ გამოილაყებენ გონებას კანონების ზეპირობით!

სიხარულის სხივი აუთამაშდა ყველას სახეზე.

უხაროდათ მანდარინებს, რადგან წიგნებში ჩხრეკა რაც უნდა იყოს უფრო ადვილია მიწაში ჩხრეკასთან შედარებით.

უხაროდათ სხვებსაც, რადგან მათ ერჩიათ მანდარინისათვის ფულის მიცემა და დღითი მასთან ერთი წამით ლაპარაკი, ვიდრე სინდისთან მთელი ღამით საუბარი.

შეუდგენ კანონების წერას. ასწერეს ყველაფერი, რის გაკეთება შეეძლო ადამიანს და რის არა.

გაათავეს.

ბრძენთა-ბრძენი ა-პუ-ო კი დასვეს უუმაღლეს მანდარინად.

და დაიწყო ყველასათვის ტკბილი და უზრუნველი ცხოვრება.

აი, ვსთქვათ უნდა ადამიანს რისიმე გაკეთება. ის მაშინვე გარბის მანდარინთან, ამოაწყობს მის წინაშე საჩუქრებს და მიმართავს:

— გამარჯობა, ბრძენთა-ბრძენო! აბა ერთი გადმომიშალეთ თქვენი კანონი,—რის გაკეთება შეიძლია ამ შემთხვევაში?

ან, როცა მოწინააღმდეგეთ ერთმანეთ შორის დავა აქვთ,—ორთავე მიდის მანდარინთან, ორთავე ამოალაგებს მის წინაშე საჩუქრებს და ეუბნებიან:

— აბა გეთაყვა, გადაშალეთ კანონი, ვინ არის ჩვენ შორის მართალი?

მხოლოდ ყველაზე უფრო საწყლები და ულარიბესნი, რომელთაც მანდარინისათვის მისაცემიც კი არა გააჩნდათ რა,—ისინი იტანჯებოდენ უძილობით. სხვები კი, როცა ღამით მათთან, სინდისი მივიდოდა ასე უპასუხებდა:

— აბა რას მოძვრები ჩემთან? მე ისე ვიქცევი, როგორც კანონში სწერია! რას მეკითხები!

ამ სიტყვებით გადაბრუნდებოდენ მეორე გვერდზე და ხვრინვას ამოუშვებდენ.

თვით ბრძენი ლი-ხან-ძუ, რომელიც ყველაზე მეტათ იტანჯებოდა უძილობისგან, ახლა მხოლოდ გაიცინებდა ხოლმე, როცა ღამით მასთან მისული სინდისს დაინახავდა:

— ააა... გამარჯობა მშვენიერებავ! აბა რას იტყვი?

— რას შვრები, შენ ხომ მთელი სიმდიდრის უკან დაბრუნება გინდა?—ეკითხებოდა სინდისი და თან დააცქერდებოდა თავის ღრმა თვალებით, რომელშიაც ვარსკვლავები ციმციმებდა.

— კი, მაგრამ მე მაქვს განა ამის უფლება!?—ხარხარით უპასუხებდა ლი-ხან-ძუ,—განა არ იცი კანონში რა სწერია?

„თვითეული საკუთრება ეკუთვნის მესაკუთრეს და მის შთამომაკლოპას“ როგორ შემიძლია მე სხვისი ქონება გავცე, თუ ჩემი შთამომავლობა ამახე თანხმა არ არის? გამოდის—ან მე ქურდი ვარ და მათ ვპარავ, ან და გიჟი, რადგან თავისთავს ვპარავ! კანონში კი ასე სწერია:

„ქურდს და გიჟს ბორკილები გაეყაროს“ აი ხომ ხედავ როგორ ყოფილა საქმე. ახლა კი თავი მანებე, მინდა დავიძინო, შენც გირჩევ თავი ანებო ტყვილა უბრალო ხეტიალს და ტკბილ ძილს მიეცე“.

ამ სიტყვაზე ის შემოტრიალდებოდა და მშვიდად ჩაიძინებდა. ერთი სიტყვით სინდისს ყველგან ერთი და იგივე ესმოდა:

— თავი დაგვანებე! ჩვენ რა ვიცით! როგორც მანდარინები გვირჩევს ისე ვიქცევით. მიდი და იმათ დაეკითხე. ჩვენ კანონს ვემორჩილებით!

წავიდა სინდისი მანდარინებთან.

— რისთვის არის, [რომ მე] აღარავინ მისმენს?—დაეკითხა იგი მათ.

მანდარინები იცინიან.

— მაშ კანონები რისთვის არის? აბა როგორ შეიძლება ადამიანები შენ გისმენდენ და ისე მოქმედებდენ? ეგებ ვინმემ ვერ გამიგოს, ან მოიტყუოს, ეს გენიალური გამოგონებაა! ტყვილათ კიარ უბოძებიათ ამის გამოგონებისათვის ა-პუ-ოსთვისაც უმაღლესი მანდარინობა!

ამის გაგონებაზე წავიდა სინდისი პირ-და პირ ბრძენთა-ბრძენ ა-პუ-ოსთან.

ოდნავ შეეხო მას და შეჩერდა.

გაიღიმა ა-პუ-ომ და ზეზე წამოხტა.

— რა ნება გაქვს შენ ღამით, დაუკითხავათ სხვის სახლში შემოიპარო? რა სწერია კანონში? „ვინც ღამით ჩუმად, სხვის სახლში შეიპარება,— ის ქურდია და ციხეში უნდა ჩაისვას“-ო!

— მე საქურდლად შენთან არ მოვსულვარ!- - უპასუხა სინდისმა,—მე სინდისი ვარ!

— მაშ ჩვენი კანონით შენ მეძავი დედა-კაცი ხარ. კანონში ნათლად არის ნათქვამი: „ქალი რომელიც ღამით მივა უცხო მამაკაცთან —ის მეძავია და როგორც ასეთი ჩასვით ციხეში“-ო, მაშ შენ თუ ქურდი არა, მეძავი დედა-კაცი ყოფილხარ!

— როგორ თუ მეძავი? —წამოიძახა სინდისმა — რას ამბობ!?

— ააა, მაშ შენ არც გარყვნილი ქალი ხარ, არც ქურდი, მაგრამ არ ემორჩილები კანონს! ამგვარ შემთხვევაზედაც სწერია კანონი:

„ვინც წინააღუდგება კანონს, ის ჩასთვალეთ კანონის მტრათ და ჩასვით ციხეშიო“ აბა ხალხო! გაუყარეთ ბორკილები ამ დედა-კაცს და საუკუნოთ ჩაკეტეთ ციხეში, როგორც გარყვნილი, შემჩნეული ქურდობაში და დაჭერილი კანონის აშკარა წინააღმდეგობისათვის:

გაუყარეს სინდისს ბორკილები და ჩაკეტეს. ამის შემდეგ ის, რასაკვირველია, არავისთან მიდიოდა, არც არავის აწუხებდა.

ამიტომაც ის სრულიად დაივიწყეს.

მხოლოდ, როცა რომელიმე ბრიყვი ადამიანი მანდარინებზე გულმოსული დაიყვირებდა:

— „თქვენ სინდისი არა გაქვთო“

მაშინ მას გადაუშლიდენ ქაღალდს და აჩვენებდენ, რომ სინდისი ცხრა კლიტულში იყო ჩამწყტეული.

— მაშ ყოფილა, თუ ის ჩვენ ციხეში გვყავს დაჭერილი!“

უპასუხებდენ მას.

ბრიყვიც ჩაჩუმდებოდა:

ხედავდა, რომ სიმართლე მათკენ იყო.

მას შემდეგ მშვიდათ და წყნარათ მიმდინარეობს ადამიანთა ცხოვრება.

ბოდბიპენტა.

მარსელიოზა

(ეშმაკის მათრახის კომისარიატებისა)

აღსრულდა! მოკვდა აზრის ჯალათი!
სისხლით მაძღარი და განალეში
ვანც კი გადარჩა, საპყრობილეში
მარხია მათი ცოცხალი ლეში.
ჩვენ აღარ გვინდა იმათი სიბრძნე,
აღარ გვაშინებს მათი მუქარა;
გვეყო ამდენი აზრის მონობა,
რედაქციაში შემოკრბით ჩქარა!..
დავწეროთ ლექსი, დავწეროთ პროზა,
აზრმა იპოვა ფართე გზა-კვალი;
შემოვიკრიბოთ ხალხი მაშვრალი,
და ბრძოლის ველზე: წინ, წინ; წინ,
გვეყო ესოდენ გრძნობის დახშობა,
თვალს გვიჭრელებდა თეთრი ფურცელი!
გულში აენთო ნათელ ჩირაღდნათ
აზრი და გრძნობა გაუფურჩქნელი!..
ძმანო, ავიღოთ ერთობის ჩანგი,
ავამქუხაროთ გრძნობის მდინარე,
გამოვაფხიზლოთ ტკბილი სიცილით
თუ ვინმე დარჩა კიდევ მძინარე.
დავსწეროთ ლექსი, დავსწეროთ პროზა,
აზრმა იპოვა ფართე გზაკვალი;
შამოვიკრიფოთ ხალხი მაშვრალი,
და ბრძოლის ველზე: წინ, წინ, წინ...
დღეს ერთი წამი საუკუნეა!
ცხოვრება ადგამს მდევის ნაბიჯებს,
გავყვეთ მას ძმანო, თორემ შეერცხვებით,
უკეთუ თავზე გადაგვაბიჯებს.
მივხედოთ ამ ჩვენ ბეჭედით ორგანოს,
ამ სიმაგრეში თავი ვიგულოთ,
აქედან ვცემოთ ჩვენ მტრებს მათრახი,
მოძმე ვაცინოთ ვამხიარულოთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავწეროთ ლექსი, დავწეროთ პროზა,
აზრმა იპოვა ფართე გზა კვალი;
შამოვიკრიფოთ ხალხი მაშვრალი,
და ბრძოლის ველზე წინ, წინ, წინ,
თუ სადმე მტერმა თავი წამოყოს,
და ჩვენ სიმაგრეს ის დაემუქროს;
მყისვე ვეკვეთოთ,—თუნდ ჩვენი გული,
ჯალათის ხელმა შუა განგმიროს...
ჩვენ სისხლზე იშვა თავისუფლება,
ჩვენი ძვლები აქვს მას საძირკველათ;
ვიდრე დაუთმობთ, ძმანო, ეშმაკნო!
გვიჯობს დავეცეთ ბრძოლისა ველათ!..
დავსწეროთ ლექსი, დავსწეროთ პროზა,
აზრმა იპოვა ფართე გზა კვალი;
შამოვიკრიბოთ ხალხი მაშვრალი,
და ბრძოლის ველზე: წინ, წინ, წინ...
ვინც სასიკვდილოთ არ ხართ დაჭრილი,
რაღას უნახავთ თქვენს ნიჭის ძალას?!.
თუ რომ ამ დროში ვერაფერს დავწერთ,
მტვერი დაფარავს თქვენს თავის ქალას...
ღრმათ ჩავიხედოთ ცხოვრების გულში,
იქ არის თქვენთვის უხვი მასალა;
რაღას უყურებთ? ხომ აღარ გვტანჯავს,
მთავრობაძეთა უხეში ძალა?
დავსწეროთ ლექსი, დავსწეროთ პროზა,
აზრმა იპოვა ფართე გზა კვალი;
შამოვიკრიბოთ ხალხი მაშვრალი,
და ბრძოლის ველზე: წინ, წინ, წინ, წინ...

როკოკო.

ფოსტა

ქარ-ტეტხლს. „აბა ვინ არის დღეს ბრიყვი
კალამს ხელი არ მოჰკიდოს,
ავტორიტეტი მან თვისი
ამითი აღარ ადიდოს“-ო.

სწერია თქვენს ლექსში. სრული ჭეშმარიტებაა: ძლიერ ბევრმა ბრიყვმა მოჰკიდა ხელი კალამს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დარჩა.

სიმონ ქურთიშვილს. თფილისის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობს კომისია ბინის საკითხთა შესახებ. თქვენი ლექსით სწორეთ აი ამ კომისიას უნდა მიმართოთ.

გრიგოლ კაკურავს. უძვირფასესი იუმორისტიული ნაწილი თქვენი „მოგონებისა“ ჩვენს ჟურნალში რევოლიუციის წინეთაც იყო მოთავსებული.

ბ-ნ მალეს. პასუხი ცოტა დაგვიგვიანდა, მაგრამ როცა თქვენი „შარადა“ გადავეცით, ამხანაგი ეშმაკი ნარდს თამაშობდა ამხ. მორიელთან. გადახედა და წარმოსთქვა: „დავ მალე“. ჩვენ ეშმაკთან კამათის უფლება არა გვაქვს, ვინაიდან დისციპლინას ყველაფერზე მაღლა ვაყენებთ, ავიღეთ თქვენი შარადა და დავმალეთ.

„ეროვნება“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

ერთი ლიტრ. ოფიციალურ თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მ. სამი თვით 4 მან 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ

ამ ფასეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება

ბ-ტ ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „ბანათლებაში“ ოლ. ს ქუჩა №6.

ბიუროკრატიულ ფრეებში



გამგე ს მოგ. განყოფილებისა (ხელქვეითს) **დროება გამოიცვალა... უბრძანე განყოფილების ყველა საქმეებს კანი გამოუცვალონ. შემოახვიეთ წითელი ქაღალდი .. ამის შემდეგ ვინ იფიქრებს, რომ ჩვენ შავრაზმელთა ჯგუფს ვეკუთნოდით...**

რედ ქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. **რუხაძისა**, გაბაევის შესახვ. № 1.